ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 47

"28" თებერვალი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვასკაიას ქუჩა №31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 თებერვლის №20.177.214 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვასკაიას ქუჩა №31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტიქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული №0120021223-67 (№01200272846-67; №01200372874-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**



შენიშვნა: საპროექტო ნაკვეთის წარმოადგენს ერთი ხაპადსტრო ენერგეტიკულ და ბანაშენიანებიან რეზერვიერების მეშვეთ არ ხდება მისი გაფართოება.

	ქალაქი ბორჯომი	ეტაპი		
	- საპროექტო რეზერვუარების ხაზვანი			
	- ობიექტი			
	საკადასტრო კაფი			



ზონა	ფართობი	პ1	პ2	პ3	პარკინგის რაოდენობა	მაქსიმალური სართულიანობა
ზონა	ფართობი	პ1	პ2	პ3	რაოდენობა	სართულიანობა
სსზ-1	17398.75	0.7	3.5	0.2	283	4
ტზ-1	1362.41					

ავტოსადგომების რაოდენობა - 286

ა) ტერიტორიის ეკონომიკურ-ტექნიკური ეკონომიკური ინფრასტრუქტურა:

- ელექტროენერგეტიკული ინფრასტრუქტურა
- ინჟინერიული ინფრასტრუქტურა
- ტრანსპორტი
- საკანალიზაციო
- ბ) ტერიტორიის ეკონომიკური ინფრასტრუქტურა:
- ინჟინერიული ინფრასტრუქტურა
- ტრანსპორტი





შენიშვნა:

სიმაღლის განსაზღვრის სქემა აგებულია უმოკლესი მანძილის მიხედვით. ა. მინდელის ქუჩისა და ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩის მხრიდან L-ის მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე საპროექტო სატრანსპორტო ზონიდან.

უკანა ეზოს მხრიდან სიმაღლის განმსაზღვრელი სხივი შენობებს არ კვეთს.

პირობითი აღნიშვნები:

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- ობიექტები
- საპროექტო ბაღი
- საპროექტო ფასადის სიმაღლე
- S-02 ▲ S-02 ▲ ბრის ხაზი
- საფრანგეთი სივრცე
- საპროექტო შენობა
- საპროექტო მიუსაფარი შენობა
- ანრგანული განაშენიანება

ეტაპი: მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის მეთოდი

- საპროექტო სატრანსპორტო ზონა
- ანრგანული ზონა

ობიექტის დასახელება და მისამართი: განვითარების რეგულირების მეგმის ა. პოლიტკოვსკაიის №31

ს.კ: 01.14.05.006.118

შპს ინჟინერალპროექტი

დირექტორი	
მენეჯერი	
ხელმძღვანელი	
მთავარი არქიტექტორი	

ფურცლის დასახელება: სიმაღლის განსაზღვრა

ფორმატი	A-3
მასშტაბი	1:5000
ფურცლის N	-60



შენიშვნა: მიწის ნაკვეთისთვის უკანა ეზო განისაზღვრა ხდება ა. მინდელის ქუჩის მიჰირდაპირე მხარის და ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო ზონის მიჰირდაპირე მხარის გადაკვეთის ნაწილში.

A ბლოკი - ადმინისტრაციული შენობა;
B ბლოკი - პავილიონები/სტუდიების შენობა;
C ბლოკი - კინოფირების არქივი;
D ბლოკი - ტექნიკური შენობა;
E ბლოკი - ავტოსადგომი;

ნაკვეთის ნომერი	ნაკვეთის ფართობი	ფუნქციური ზონა	ფართობი	ა1	ა2	ა3	აზელსადგომების რაოდენობა	სართულიანობა	სიმაღლეთა რეგულირების მიწისპირა სართული	რეგულირებადი შენობის/ნაგებობის ოლქიში
		სსზ-1	17398.75	0.7	3.5	0.2	283	4		
1	18761	ტზ-1	1362.41						ღია	დაშვებული

პირობითი აღნიშვნები:

- საპროექტო ნაკვეთის საზღვარი
- ობიექტები
- საკერძოდინიანი ბაღი
- არსებული ბანაშენობები
- არსებული ქანების ტერიტორია
- სარეკრეაციო სივრცე
- ნაგებობა-ინჟინრული ობიექტების ტერიტორია

ეკონომიკური აღნიშვნები:

- საპროექტო ზონა-1
- სატრანსპორტო ზონა
- საპროექტო ბლოკების საშპარაუდო კონტური
- საპროექტო გზის საშპარაუდო კონტური
- შენობათა განთავსების არეალი
- შესახა ეზო
- საგზაო ზოლი მთხნა წარგზავნილი
- საგზაო ზოლი მთხნა

ეთბილქალაქპროექტი

ფუნქციონალური ზონირების დასახელება

მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების გეგმა

ობიექტის დასახელება და მისამართი:

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ა. ჰოლიტკოვსკაიას №31

ს.კ.01.14.05.006.118

შპს თბილქალაქპროექტი

დირექტორი

მ.ქვარაღაშვილი

ხელმძღვანელი

ლ.ხუციშვილი

ფორმატი: A-3

მასშტაბი 1:5000

შეკვეთის N-61

მიწის ნაკვეთის დეტალური რეგლამენტი

მიწის ნაკვეთის ნომერი	N1
მიწის ნაკვეთის ფართობი	18761 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის დაბებმული მოზნობრიობა	არასასოფლო სამეურნეო
მიწის ნაკვეთის გეგმარებით შემზღუდავი ზონა	კოლექტორის შეზღუდვა
მიწის ნაკვეთის ტერიტორიულ სტრუქტურული ზონა	პერიფერიული ზონა
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების სტატუსი	პერიფერიული ზონა
მიწის ნაკვეთის გამოყენების ხასიათი და ფუნქცია	მრავალფუნქციური (ტელევიზია, ადმინისტრაციული კომპლექსი)
მიწის ნაკვეთის კონკრეტული ფუნქციური ზონები	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1 სატრანსპორტო ზონა -1
მიწის ნაკვეთის დაყოფა გაჭრითიანების აკრძალვა	აკრძალვა
მიწის ნაკვეთზე აეროფოტოგადაღების აუცილებელი /ფოტოთვალსაზრისული რაოდენობა	0 / 283
მიწის ნაკვეთზე რამოდენიმე ძირითადი შენიანი განთავსების დაშვება	დაშვებულია

შენიშვნები:

მიწის ნაკვეთზე მშენებლობა განხორციელდება ერთ ეტაპად;

მიწის ნაკვეთზე სამშენებლოდ შეზღუდული ტერიტორიის ზონა მოწოდებულია შპს "ობილსერვის ჯგუფი"-ს მიერ.

მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი სივრცე დადგენილია საპროექტო სატრანსპორტო ზონის მიხედვით და მაქსიმალური სიმაღლის ათვლა ხდება აღნიშნული ზონიდან.

მიწის ნაკვეთისთვის უკანა ეზო განსაზღვრა ა. მინდელის ქუჩის მოპირდაპირე მხარის და ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო ზონის მოპირდაპირე მხარის ვადაკვეთის ნაწილში.

პირობითი აღნიშვნები:

A ბლოკი - ადმინისტრაციული შენობა;
B ბლოკი - პავილიონებისტუდიების შენობა;
C ბლოკი - კინოფიფების არქივი;
D ბლოკი - ტექნიკური შენობა;
E ბლოკი - ავტოსადგომი;

- საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-1
- სატრანსპორტო ზონა
- საპროექტო ბლოკების საპარაფეტო კონტური
- საპროექტო გზის საპარაფეტო კონტური
- შენიშვნისა განთავსების არეალი
- შუალი ეზო
- სამეზობლო მიწა
- წარმოსახვითი სამეზობლო მიწა



ნაკვეთის ნომერი	ნაკვეთის ფართობი	ფუნქციური ზონა	ფართობი	პ1	პ2	პ3	ავტოსადგომების განთავსება	მაქსიმალური სართულიანობა
		სსზ-1	17398.75	0.7	3.5	0.2	283	4
1	18761	ტზ-1	1362.41					

ობილქალაქპროექტი

პირობითი აღნიშვნები:

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- ობიექტი
- საპროექტირებადი ბალი
- არსებული განაშენიანება
- არსებული ქუჩისა ფასადი
- საგზაო-ტრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
- ნაკვეთის ფარგლის ფასადების არეალი

შეკვეთა	მიწის ნაკვეთის ტექნიკური რეგლამენტი
ობიექტის დასახელება და მისამართი:	განმენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ა. ჰოლიტკოვსკაიას №31
	ს.კ.01.14.05.006.118

დირექტორი	
მთავარი არქიტექტორი	
სპეციალისტი	
ჯგუფის ხელმძღვანელი	
ფორმატი	A-3
მასშტაბი	1:1000
ფურცლის N	63

განკარგულება - N 20.177.214
19 / თებერვალი / 2020 წ.

ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის'' ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2020 წლის 21 იანვარს N0120021223-67 (N01200272846-67; 01200372874-67) განცხადებით მიმართა ნოდარ ჭიჭინაძემ (პ/ნ 62011003708) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის'' ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში (ფართობი: 18761 კვ.მ). ტერიტორიას გააჩნია ორი მისასვლელი გზა, ერთი სამხრეთ მხრიდან, ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩიდან, ხოლო მეორე - ჩრდილოეთით, ა. მინდელის ქუჩიდან შემომავალი ჩიხი. კვარტალი, სადაც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია, ათვისებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებით. მიმდებარედ მდებარეობს სამაუწყებლო კომპანია ,,რუსთავი 2''-ის ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა; რამდენიმე კერძო სკოლა, უნივერსიტეტი და სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. ასევე აღინიშნება საცხოვრებელი ფუნქციებიც. საპროექტო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ყოფილი ქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიას და მასზე განთავსებულია დღეის მდგომარეობით ამორტიზირებული შენობა-ნაგებობები. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი ტაქსაციის შესაბამისად ფიქსირდება 950 ხე-ნარგავი.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (სტ-1). მაქსიმალური სართულიანობა - 4 სართული;

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიაზე რამოდენიმე შენობის განთავსება:

A ბლოკი - ადმინისტრაციული შენობა; B ბლოკი - პავილიონები/სტუდიების შენობა; C ბლოკი - კინოფირების არქივი; D ბლოკი - ტექნიკური შენობა; E ბლოკი - ავტოსადგომი.

საპროექტო მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილზე მდებარეობს სანიაღვრე კოლექტორი, სადაც შპს "თბილსერვის ჯგუფის" მიერ დადგენილია შემდეგი შეზღუდვა: ყოველი ძეხობა-ნაგებობის კედელი სანიაღვრე კოლექტორის კედლიდან დაცილებული უნდა იქნეს არანაკლებ 5 მეტრისა (აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5^1 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ასევე სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სამსახურის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან

დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 28 ნოემბრის N01193323000 წერილის შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 თებერვლის N01200382044 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N01.14.05.006.118 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაშვებია ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის'' ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ N0120021223-67 (N01200272846-67; 01200372874-67) განცხადებაზე მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის'' ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაიგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაეკისროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

წერილის ნომერი: **01200382044**
თარიღი: **07/02/2020**
პინი: **7274**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 6 თებერვლის №01200372874-67 განცხადება და მიმდინარე წლის 6 თებერვლის №19/01200373727-18 განცხადებით დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩის №31-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.05.006.118; საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1) საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **46 ძირი (№3; №27-28; №44; №65; №85; №95; №117; №123; №156; №169; №189; №192-193; №226-227; №430-431; №481; №487; №506; №510-511; №599; №645; №676-679; №701-703; №706; №812; №831; №825; №851; №857; №863; №871-872; №878; №917; №920-921; №939)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილკენკროვანთა სახეობას და განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია მხოლოდ **14 ერთეული** (№28; №65; №156; №169; №226; №431; №481; №510; №702; №812; №857; №917; №920; №939) 12 სანტიმეტრზე დიდი დიამეტრის მქონე ხის მოჭრა, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/დაავადებული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა 01.14.05.006.118 საკადასტრო ერთეულზე მოიჭრას ერთი ძირი ზეხმელი (№18) ბალამწარა, ერთი ძირი ზეხმელი (№384) თეთრი თუთა, 2 ძირი დაავადებული (№768; №789) კანადური ვერხვი, ერთი ძირი დაავადებული (№698) ჩვეულებრივი თელა, 2 ძირი ზეხმელი (№728; №754) და ერთი ძირი დაავადებული (№662) ჩვეულებრივი იფანი **(ჯამში - 8 ერთეული)**, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა 01.14.05.006.118 საკადასტრო ერთეულზე მოიჭრას **120 ძირი ჯანსაღი ჩვეულებრივი იფანი** (№30; №63; №94; №98; №121; №124; №129; №140-141; №143-145; №151; №159; №213; №276; №279; №331; №333-334; №337; №340; №343; №351; №357; №370-371; №392-394; №521-527; №529-530; №532; №534-535; №537; №539-541; №595; №597; №602; №606; №609; №615-620; №622-623; №627; №638-639; №646; №648; №652; №655; №666; №668; №675; №680-681; №723-727; №729-743; №745-746; №749; №752-753; №756; №762-763; №765-766; №786-787; №807; №867; №873; №882; №901-902; №905-909; №915; №933; №941; №944; №948-949), **14 ძირი ჯანსაღი თეთრი თუთა** (№59; №135; №225; №382-383; №385; №637; №674; №824; №826; №828; №910; №929; №947), **4 ძირი ჯანსაღი ძეძვი** (№70; №512; №536; №593), **3 ძირი ჯანსაღი ცრუ აკაცია** (№112; №660; №667), **32 ძირი ჯანსაღი გურდღლისცოცხა** (№381; №386; №396-400; №402-406; №408-418; №447-455), **8 ძირი ჯანსაღი ჩვეულებრივი თელა** (№456; №482; №690; №694-695; №865; №916; №918), **2 ძირი ჯანსაღი შავი თუთა** (№650-651) და **ერთი ძირი ჯანსაღი შავჯაგა** (№838) **(ჯამში - 184 ერთეული)** მშენებლობის

ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **285 ძირი მწვანე ნარგავის** დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1^1 პუნქტისა და 21^2 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმა გადაირგოს საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **285 ძირი** (№4-10; №12-17; №19-26; №43; №46-48; №51-58; №61-62; №64; №66-69; №71; №74-75; №78-79; №81-84; №86-87; №90-93; №96-97; №99-111; №115-116; №118-120; №122; №125-126; №132; №134; №152; №154; №165; №194; №206; №208-211; №216; №219; №222-224; №228-229; №232; №235-236; №239; №277; №332; №336; №338; №341-342; №352; №380; №395; №407; №426; №434; №436; №439; №480; №483-486; №488-490; №492-502; №505; №507-509; №513-515; №520; №528; №531; №533; №538; №542-543; №546-548; №591; №594; №596; №598; №600; №603-605; №607-608; №611; №613-614; №621; №624; №626; №628; №630-636; №640-641; №643; №647; №649; №653-654; №659; №661; №663-664; №669-673; №682-685; №687-688; №691-693; №696-697; №699-700; №704-705; №707-711; №713; №715; №718; №721-722; №744; №747-748; №750-751; №755; №757-760; №764; №785; №788; №790-792; №806 №816; №818; №820-821; №827; №829; №836-837; №852-854; №858; №864; №866; №868-870; №874; №876-877; №880-881; №883-885; №887-898; №903; №911-914; №919; №927-928; №930; №934-935; №937-938; №942; №945-946) მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში შეფასებული **75 ძირი** (№11 D=29.5, №45 D=28.5, №49 D=34.3, №72 D=52.6, №73 D=45.3, №80 D=35.7, №88 D=49.5, №114 D=48.2, №127 D=42.3, №128 D=67.1, №592 D=39.3, №658 D=42.4, №686 D=28.8, №767 D=54.7, №832 D=39.8 **- ბალამწარა;** №50 D=25.5, №60 D=33.6, №76 D=26.8, №77 D=39.4, №89 D=28.2, №113 D=42.8, №146 D=56, №153 D=31.7, №168 D=39.9, №240 D=25.2, №419 D=25.4, №423 D=27.2, №440 D=25.1, №601 D=35.8, №610 D=32.2, №612 D=34.6, №625 D=28.8, №629 D=29.4, №642 D=28.3, №665 D=27.3, №689 D=26.8, №712 D=75.8, №714 D=57.3, №717 D=48.6, №719 D=33.5, №720 D=35.4, №761 D=28, №793 D=50.3, №879 D=30.3, №899 D=51.7, №904 D=26.6, №922 D=40.2 - **ჩვეულებრივი იფანი;** №217 D=25.6, №923 D=76.2, №932 D=55.5, №936 D=44.6, №943 D=30.7 - **აღმოსავლური ჭადარი;** №401 D=55.5 - **ამერიკული გლედიჩია;** №716 D=26.7, №940 D=30.5 - **ჩვეულებრივი კაკალი;** №644 D=27.5, №656 D=46.9, №900 D=28.2 - ცრუ აკაცია; №491 D=73.4 - **ჩვეულებრივი თელა;** №29 D=47.4, №33 D=40.6, №35 D=49.5, №36 D=39.8, №425 D=40.2, №429 D=38.5, №875 D=55.4, №886 D=61.9 - **ელდარის ფიჭვი;** №149 D=42.9, №171 D=44.9, №207 D=46.9, №221 D=34.7, №926 D=64.6, №931 D=52.3, №950 D=66.3 **- ჰიმალაის კედარი;** №657 D=56.9 - **შავი თუთა**) მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1^1 პუნქტისა და 21^1 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს თითოეულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარაგავების რაოდენობა (**არსებული:** 28 ძირი ელდარის ფიჭვი, 26 ძირი ბალამწარა, 9 ძირი შავი ფიჭვი, 167 ჩვეულებრივი იფანი, 12 ძირი აღმოსავლური ჭადარი, 17 ძირი ჰიმალაის კედარი, ერთი ძირი თეთრი თუთა, 3 ძირი კავკასიური ცაცხვი, 11 ძირი ჩვეულებრივი თელა, ერთი ძირი გლედიჩია, ერთ ძირი კავკასიური აკაკი, ასევე **კ3-ის არეალში გადასარგავი:** 14 ძირი ბალამწარა, 29 ძირი იფანი, 5 ძირი აღმოსავლური ჭადარი, ერთი ძირი გლედიჩია, ერთი ძირი ცრუ აკაცია, 2 ძირი ჩვეულებრივი კაკლი, 8 ძირი ელდარის ფიჭვი, ერთი ძირი შავი თუთა, 7 ძირი ჰიმალაის კედარი, ერთი ძირი თელა და **საკომპენსაციოდ დასარგავი:** 4 ძირი ჰიმალაის კედარი და 4 ძირი ქართული მუხა, **ჯამში - 353 ერთეული**) სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**3 000 მ^2**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა

01.14.05.006.118 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **01193323000**
თარიღი: **28/11/2019**
პინი: **7716**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2019 წლის 9 ოქტომბრის N 01192823092-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.05.006.118) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა წარმოდგენილი პროექტი და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე. განსახილველად წარმოდგენილი პროექტი არსებთად არ განსხვავდება წინასაპროექტო კვლევისაგან, ამასთან, გათვალისიწინებულია N 16-01183134169 წერილით მითითებული ხარვეზები.

შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი